ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7524557

ნომერი: AR11096233

თარიღი : 18.06.2025

გაცემის თარიღი : 25.06.2025

გაცნობის თარიღი : 09.07.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 5;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვლადიმერ კანდელაკი პ/ნ 01018003087
- თბილისი,თორაძის ქN9

ორგანიზაცია:
- ლეჩკომბინატი #1 კოდი: 204577216

ნომენკლატურა :

- საავადმყოფო
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალპროფილიანი საავადმყოფო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დიმიტრი შაფაქიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "არქიტექტურის ლაბორატორია №3"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204503661

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ლეჩკომბინატი №1"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204577216
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვლადიმერ კანდელაკი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01018003087

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 5253488
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 25.01.2021

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 18 დეკემბრის № 5218709 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – ვაკე), ილია ჭავჭავაძის გამზ. N5-ში, შპს „ლეჩკომბინატი N1“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №01.14.14.010.028) საავადმყოფოს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის № 5253488 ბრძანებით მრავალპროფილიანი საავადმყოფოს, შეთანხმებული, კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა და გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სანებართვო მოწმობა; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2021 წლის 25 იანვრიდან 2023 წლის 25 ივლისის ჩათვლით.
სამსახურის 2023 წლის 10 ივლისის № 6551802 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის № 5253488 ბრძანებაში, კერძოდ "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 25 ივლისის ჩათვლით" შეიცვალა "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 10 ივლისიდან 2025 წლის 10 ივლისის ჩათვლით";
2025 წლის 18 ივნისს №AR11096233 განცხადებით მოგვმართა მოქ. ვ. კანდელაკმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2021 წლის 25 იანვრის № 5253488 ბრძანებაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის № 5253488 ბრძანებაში, კერძოდ ჩანაწერი „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 25 იანვრიდან 2023 წლის 25 ივლისის ჩათვლით“ შეიცვალოს "მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 25 ივნისიდან 2026 წლის 25 ივნისის ჩათვლით";
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 25 იანვრის № 5253488 და 2023 წლის 10 ივლისის № 6551802 ბრძანებებთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.